Тбилисский филиал Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. აპრილის 28 № 11 თბილისი

F/ 11110

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

47. საქართველოს სსრ-ში ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა და დამზადების 1939 წლის გეგმის შესახებ.

48. 1939 წლის მოსავლის ბოსტნეულის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

49. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წარმოების წესებისა და ვადების თაობაზე გამოცემულ დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

50. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს მოწყობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

47. საქართველოს სსრ-ში ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა და დამზადების 1939 წლის გეგმის შესახებ.

შესაბამისად ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა და დამზადების 1939 წლის გეგმის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 28 მარტის № 268 დადგენილებისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას მთლიანად საქართველოს სსრ-ში კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში 1939 წლის მოსავლის ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის გეგმა 71.580 ცენტნერის რაოდენობით, რაც განაწილდეს რაიონებს შორის თანახმად დანართისა № 1, აქედან კულტურების მიხედვით:

(ცენტნერობით)

სოია	— 55000	აქედან	სახჯიშფონდის	ხაზით	—1400
არახისი	— 14000	„	„	„	—3500
პერილა	— 1500	„	„	„	— 100
საზეთე სელი	— 1080	„	„	„	— —

2. დამტკიცებულ იქნას რაიონების მიხედვით 1939 წლის მოსავლიდან კონტრაქტაციის წესით ზეთოვანი კულტურების ჩაბარების ნორმები ერთ ჰექტარზე, თანახმად დანართისა № 2.

3. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, აგრეთვე რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ხუთი დღის ვადაში დაიყვანონ ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის გეგმები კოლმეურნეობებამდე, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობათა მიმართ — სასოფლო საბჭოებამდე.

4. ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაცია ახალქალაქის, საგარეჯოს, ბორჩალოს, ჭიათურის, სამტრედიის, ზესტაფონის, ქუთაისის, აბაშის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ხობის, მახარაძის, ლანჩხუთის, ფოთის რაიონებში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ-ში დაეკისროს საკავშირო გაერთიანება „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას.

იმავე კულტურების კონტრაქტაცია წალკის, ბოგდანოვკის, წალენჯიხის, ყარაიის, წულუკიძის, ვანის, ბაღდადის, ჩხარის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს და ჩოხატაურის რაიონებში დაეკისროს ცეკავშირს („იუგო-ზაგოტზერნო“-სთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე).

ჯიშიანი თესლის კონტრაქტაცია მეთესლეობის კოლმეურნეობებში ქუთაისის და ზუგდიდის რაიონებში დაეკისროს სახჯიშფონდის საქართველოს კანტორას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. შენარჩუნებულ იქნას 1939 წლისათვის ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის 1938 წელს მომქმედი პირობები და წესი, დასამზადებელი ფასები, ჯილდო-წანამატები, ჩაბარების ვადები და შეღავათები.

6. დაევალოს „იუგო-ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას, ცეკავშირსა და სახჯიშფონდს კონტრაქტაციის ჩასატარებლად მიავლინონ რაიონებში ცენტრალური აპარატის მუშაკები და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება დაამთავრონ არაუგვიანეს 1939 წლის 15 მაისისა.

7. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ა/წ. 20 მაისისათვის მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის შედეგები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აპრილის 9. № 586
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

ᲒᲔᲒᲛᲐ

ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა 1939 წლისათვის რაიონების მიხედვით (ცენტნეროობით)

ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ	ᲡᲝᲘᲐ		ᲐᲠᲐᲮᲘᲡᲘ		ᲞᲔᲠᲘᲚᲐ		ᲡᲐᲖᲔᲗᲔ ᲡᲔᲚᲘ
	ᲡᲣᲚ	აქედან სახჯიშ-ფონდი	ᲡᲣᲚ	აქედან სახჯიშ-ფონდი	ᲡᲣᲚ	აქედან სახჯიშ-ფონდი	
1. ახალქალაქის	—	—	—	—	—	—	360
2. ბოგდანოვკის	—	—	—	—	—	—	414
3. წალკის	—	—	—	—	—	—	306
4. ყარაიის	—	—	1250	—	—	—	—
5. საგარეჯოს	—	—	220	—	—	—	—
6. ბორჩალოს	—	—	1125	—	—	—	—
7. ქუთაისის	4935	900	3200	3200	150	—	—
8. სამტრედიის	4190	—	750	—	150	—	—
9. წულუკიძის	2900	—	480	—	120	—	—
10. ვანის	2270	—	1920	—	225	—	—
11. ბაღდადის	1800	—	—	—	—	—	—
12. ზესტაფონის	3130	—	—	—	—	—	—
13. ჩხარის	3000	—	110	—	—	—	—
14. ჭიათურის	3480	—	—	—	—	—	—
15. ორჯონიკიძის	1420	—	—	—	—	—	—
16 ტყიბულის	650	—	—	—	—	—	—
17. აბაშის	5620	—	1764	—	255	—	—
18. ცხაკაიას	3750	—	1269	—	150	—	—
19. გეგეჭკორის	3380	—	288	—	90	—	—
20. ზუგდიდის	2720	500	1624	300	105	100	—
21. ხობის	2860	—	—	—	105	—	—
22. წალენჯიხის	770	—	—	—	—	—	—
23. ჩხოროწყუს	1275	—	—	—	—	—	—
24. მახარაძის	2125	—	—	—	—	—	—
25. ლანჩხუთის	2750	—	—	—	—	—	—
26. ჩოხატაურის	1035	—	—	—	—	—	—
27. ფოთის	100	—	—	—	—	—	—
28. აფხაზეთის ასსრ . . .	—	—	—	—	150	—	—
29. აჭარის ასსრ	840	—	—	—	—	—	—
ᲡᲣᲚ	**55000**	**1400**	**14000**	**3500**	**1500**	**100**	**1080**

მუხ. 47

№ 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

1939 წლის მოსავლიდან ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის ნორმები 1939 წლისათვის (ცენტნერობით)

რაიონები	სოია		არახისი	პერილა	საზეთე სელი	
	კოლმეურ-ნეობანი	ერთპი-როვნული მეურნ.	კოლმეურ-ნეობანი	კოლმეურ-ნეობანი	კოლმეურ-ნეობანი	ერთპი-როვნული მეურნ.
1. ახალქალაქის	—	—	—	—	0,9	1,1
2. ბოგდანოვკის	—	—	—	—	0,9	1,1
3. წალკის	—	—	—	—	0,9	1,1
4. ყარაიის	—	—	2,5	—	—	—
5. საგარეჯოს	—	—	2,2	—	—	—
6. ბორჩალოს	—	—	2,5	—	—	—
7. ქუთაისის	2,5	2,7	3,2	1,5	—	—
8. სამტრედიის	2,6	2,9	2,5	1,5	—	—
9. წულუკიძის	2,5	2,7	2,4	1,5	—	—
10. ვანის	2,6	2,9	3,2	1,5	—	—
11. ბაღდადის	2,4	2,6	—	—	—	—
12. ზესტაფონის	2,5	2,7	—	—	—	—
13. ჩხარის	2,5	2,7	2,2	—	—	—
14. ჭიათურის	2,4	2,6	—	—	—	—
15. ორჯონიკიძის	2,4	2,6	—	—	—	—
16. ტყიბულის	1,7	1,9	—	—	—	—
17. აბაშის	2,6	2,9	2,8	1,5	—	—
18. ცხაკაიას	2,5	2,7	2,7	1,5	—	—
19. გეგეჭკორის	2,5	2,7	2,4	1,5	—	—
20. ზუგდიდის	2,6	2,9	2,8	1,5	—	—
21. ხობის	2,6	2,9	—	1,5	—	—
22. წალენჯიხის	2,4	2,6	—	—	—	—
23. ჩხოროწყუს	2,4	2,6	—	—	—	—
24. მახარაძის	2,5	2,7	—	—	—	—
25. ლანჩხუთის	2,5	2,7	—	—	—	—
26. ჩოხატაურის	2,4	2,6	—	—	—	—
27. ფოთის	2,0	2,3	—	—	—	—
28. აჭარის ასსრ	2,5	2,7	—	—	—	—
29. აფხაზეთის ასსრ . . .	—	—	—	1,5	—	—
ჩაბარების საშუალო ნორმა	**2,5**	**2,7**	**2,8**	**1,5**	**0,9**	**1,1**

48. 1939 წლის მოსავლის ბოსტნეულის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

შესაბამისად „1939 წლის მოსავლის ბოსტნეულის დამზადების, გამოზიდვის და შეზიდვის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 29 მარტის № 277 დადგენილებისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ-ში 1939 წლის მოსავლის ბოსტნეულის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 14.200 ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს კულტურებისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 1.

2. დამტკიცებულ იქნას საკონსერვო მრეწველობის საჭიროებისათვის სხვა სახის ბოსტნეულის დამზადების გეგმა 373 ტონის რაოდენობით, რაც განაწილდეს ცალკეული კულტურებისა და რაიონების მიხედვით თანახმად დანართისა № 2.

3. 1939 წელს ბოსტნეულის კონტრაქტაციისა და დამზადების ჩატარება დაეკისროს საქკონსერვხილტრესტს და საქხილბოსტანს.

4. დაევალოს საქხილბოსტანს წულიკიძის რაიონის რაისამომხმარებლო კავშირის დამამზადებელ პუნქტებზე ჩააბაროს საქკონსერვხილტრესტს პამიდორი ქუთაისის საკონსერვო ქარხნისათვის 100 ტონის რაოდენობით.

5. 1939 წლის მოსავლის იმ ადრეული და ნაგვიანევი ბოსტნეულის დასამზადებელი ფასები, რომელიც სახელმწიფო გეგმით მზადდება, აგრეთვე ავანსების გაცემასთან დაკავშირებული კონტრაქტაციის პირობები შენარჩუნებულ იქნას იმ ფასებისა და პირობების დონეზე, რაც 1938 წლის მოსავლის ბოსტნეულის დასამზადებლად არსებობდა.

6. დამტკიცებულ იქნას ერთი ჰექტარიდან 1939 წლის მოსავლის ბოსტნეულის ჩაბარების (გაყიდვის) რაიონობრივი ნორმები, თანახმად დანართისა № 3.

7. დაევალოს სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას გაუხსნას ძირითად დამამზადებლებს კრედიტები ბოსტნეულის კონტრაქტაციის ავანსირებისათვის 441,5 ათასი მანეთის რაოდენობით.

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში გაანაწილოს ბოსტნეულის ავანსირებისათვის გამოყოფილი კრედიტები დამამზადებლებს შორის და ეს განაწილება არაუგვიანეს 1939 წ. 10 აპრილისა წარუდგინოს სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას.

8. კონტრაქტაციის დამთავრების ვადად დაწესდეს 1939 წლის 25 აპრილი.

9. დაევალოს საქკონსერვხილტრესტს და საქხილბოსტანს არაუგვიანეს 1939 წლის 1 მაისისა დაამთავრონ დამამზადებელი პუნქტების მომზადება 1939 წლის მოსავლის ბოსტნეულის მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. წინადადება მიეცეს საქკონსერვხილტრესტს და საქხილბოსტანს ბოსტნეულის დამზადება სახელმწიფო გეგმის მიხედვით დაამთავრონ შემდეგ ზღვრულ ვადებში:

კიტრისა და პამიდორის—1939 წლის 1 ოქტომბრისათვის; კომბოსტოს, ხახვის, ჭარხლის, სტაფილოს—1939 წლის 15 ნოემბრისათვის.

11. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ ბოსტნეულის გამოყენების გეგმის პროექტი, რომელიც კონტრაქტაციის წესით მზადდება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აფრთხილებს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამამზადებლებს, რომ 1938 წლის ცუდი მუშაობის შედეგად ბოსტნეულის დამზადების გეგმა შესრულებული არ ყოფილა, ხოლო დამზადებული ბოსტნეული არ იყო უზრუნველყოფილი გამოსაზიდად საჭირო ტრანსპორტით, რის შედეგადაც ქალაქები და უმნიშვნელოვანესი ცენტრები არ იყვნენ მომარაგებული საკმაო რაოდენობისა და ასორტიმენტის ბოსტნეულით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს თბილისის საბჭოს, ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტსა და დამამზადებელ ორგანიზაციებს, ეხლავე ჩაატარონ ყოველგვარი საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებანი ბოსტნეულის კონტრაქტაციისა და დამზადებისათვის და მიაღწიონ დამზადების გეგმის შესრულებას ყოველ თვიურად, ამასთან არ დაუშვან ბოსტნეულის ნაკლები რაოდენობით შეტანა საქართველოს სსრ ქალაქებსა და უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აპრილის 9 № 592.
თბილისი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დანართი № 1

ᲒᲔᲒᲛᲐ

1939 წლის მოსავლის ბოსტნეულის კონტრაქტაციისა და დამზადებისა (ტონობით)

ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ	ᲙᲝᲛᲑᲝᲡᲢᲝ	ᲮᲐᲮᲕᲘ	ᲞᲐᲛᲘᲓᲝᲠᲘ	ᲙᲘᲢᲠᲘ	ᲡᲢᲐᲤᲘᲚᲝᲡ	ᲭᲐᲠᲮᲕᲘ	ᲡᲣᲚ
ᲡᲐᲥᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲮᲘᲚᲢᲠᲔᲡᲢᲘ							
გორის	1500	90	300	100	250	60	2300
ქუთაისის	200	40	3700	90	130	—	4160
სამტრედიის	300	—	1400	40	—	—	1740
აფხაზეთის ასსრ	—	20	100	20	30	30	200
ᲡᲣᲚ	**2000**	**150**	**5500**	**250*)**	**410**	**90**	**8400**
ᲡᲐᲥᲮᲘᲚᲒᲝᲡᲢᲐᲜᲘ							
ახალციხის	120	110	—	—	20	10	260
ხაშურის	300	30	—	—	40	120	490
კასპის	200	—	—	—	—	—	200
გურჯაანის	—	60	—	—	—	—	60
სიღნაღის	—	30	—	—	—	—	30
თბილისის	300	100	1800	200	130	170	2700
ყარაიის	300	350	100	50	30	50	880
ბორჩალოს	—	100	—	50	—	—	150
ლიუქსემბურგის	—	80	—	—	—	—	80
წულუკიძის	—	—	100	—	—	—	100
ვახის	-	480	—	—	-	—	480
საგარეჯოს	30	—	—	—	—	—	30
ალბულაღის	100	10	—	—	—	—	110
წალკის	50	—	—	—	—	—	50
ახალქალაქის	100		—	—	60	20	180
ᲡᲣᲚ	**1500**	**1350**	**2000**	**300**	**280**	**370**	**5800**
მთლად საქ. სსრ-ში . . .	**3500**	**1500**	**7500**	**550**	**690**	**460**	**14200**

*) აქედან საკონსერვო ქარხნისათვის ნეჟინის კიტრი 165 ტონ.

დანართი № 2

ᲒᲔᲒᲛᲐ

საკონსერვო მრეწველობისათვის 1939 წლის მოსავლის ბოსტნეულის დამზადებისა (ტონობით)

ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ	ᲑᲐᲓᲠᲘᲯᲐᲜᲘ	ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲚᲞᲘᲚᲘ	ᲗᲔᲗᲠᲘ ᲫᲘᲠᲘ	ᲛᲬᲕᲐᲜᲘᲚᲘ	ᲭᲝᲢᲝᲡᲐᲜᲘᲚᲝᲑᲘᲗ	ᲡᲣᲚ
გორის	—	70	20	6	—	96
ქუთაისის	85	25	10	6	135	261
აფხაზეთის ასსრ	—	—	—	1	15	16
ᲡᲣᲚ	**85**	**95**	**30**	**13**	**150**	**373**

1939 წლის მოსავლის ბოსტნეულის ჩაბარე

ბის (გაყიდვის) ნორმები (1 ჰექტარ. ტონობით)

რაიონები	კომბოსტო			ბაბვი			პამიდორი			კიტრი ადგილობრივი			კიტრი ხეთინის			სტაფილო			პარბალი		
	კოლმეურნეობანი	კოლმეურნეები	ერთპიროვნული მეურნ.	კოლმეურნეობანი	კოლმეურნეები	ერთპიროვნული მეურნ.	კოლმეურნეობანი	კოლმეურნეები	ერთპიროვნული მეურნ.	კოლმეურნეობანი	კოლმეურნეები	ერთპიროვნული მეურნ.	კოლმეურნეობანი	კოლმეურნეები	ერთპიროვნული მეურნ.	კოლმეურნეობანი	კოლმეურნეები	ერთპიროვნული მეურნ.	კოლმეურნეობანი	კოლმეურნეები	ერთპიროვნული
აბალციხის	5	5,5	6	4,0	4,3	5,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	4,5	5	5,5	5	5,5	6
ბაშურის	5,0	5,5	6,0	2,5	3,0	3,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	4,5	5,0	5,0	5,0	5,5	6,
გორის	5,0	5,5	6,0	2,0	2,3	2,5	7,0	7,5	8,0	2,0	2,5	3,0	3,0	1,1	1,2	5,5	5,5	6,0	5,0	5,5	6,
კასპის	5,0	5,5	6,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	-
გურჯაანის	—	—	—	3,0		3,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სიღნაღის	—	—	—	3,5	3,7	4,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ყარაიის	4,5	5,0	5,5	4,0	4,3	5,0	5,5	6,0	6,5	3,0	3,2	3,5	—	—	—	4,5	5,0	5,5	5,0	5,5	6,
ლიუქსემბურგის	—	—	—	4,5	4,8	5,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
თბილისის	3,0	3,5	4,0	2,0	2,3	2,5	5,5	6,0	6,5	3,0	3,2	3,5	—	—	—	4,5	5,0	5,5	5,0	5,5	6,
ქუთაისის	4,5	5,0	5,5	2,0	2,3	2,5	8,0	8,2	8,5	2,0	2,5	3,0	1,0	1,1	1,2	5,0	5,5	6,0	—	—	—
სამტრედიის	4,5	5,0	5,5	—	—	—	8,0	8,5	9,0	2,0	2,5	3,0	—	—	—	—	—	—	—	—	—
წულუკიძის	—	—	—	—	—	—	6,0	6,5	7,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ვანის	—	—	—	4,5	4,8	5,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
აფხაზეთის ასსრ	4,5	5,0	5,5	2,0	2,3	2,5	3,5	4,0	4,5	2,0	2,5	3,0	1,0	1,1	1,2	4,5	5,0	5,5	5	5,5	6,0
ბორჩალოს	—	—	—	4,0	4,5	5,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
საგარეჯოს	4,5	5,0	5,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ალბულაღის	5,0	5,5	6,0	3,0	3,3	3,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
წალკის	5,0	5,5	6,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ახალქალაქის	5,0	5,5	6,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	4,5	5,0	5,5	5,0	5,5	6

49. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წარმოების წესებისა და ვადების თაობაზე გამოცემულ დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 17 ივლისის დადგენილებაში „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წარმოების წესებისა და ვადების შესახებ" (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 3, მუხ. 8):

1. მუხ. 24-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

შენიშვნა: ნადირობის იარაღის კონფისკაციის საკითხს გადასწყვეტს სასამართლო საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის შესაბამისად.

2. მუხ. 26 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„26. ნადირობის წესების დამრღვევისათვის ჩამორთმეული უკანონო ნადირობის პროდუქციის რეალიზაცია გადაუდებელ შემთხვევებში ხდება დამამზადებელი ორგანიზაციების მეშვეობით.

მონადირეთა კოოპერაციას ენიჭება ჩამორთმეული საგნების შესყიდვის უპირატესი უფლება".

3. მუხ. 27 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„27. ბრაკონიერობისა და გამოუსვლელი ბეწვეულისა და უკანონო ნადირობის სხვა პროდუქციის შესყიდვის შესახებ აღძრულ საქმეთა გამო შემოსული ჯარიმა გადაირიცხება:

50% სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში, ხოლო 50% იმ პირთათვის ჯილდოს მისაცემად, რომლებმაც, აღმოაჩინეს ნადირობის წარმოების წესების დარღვევა.

კონფისკაციაქმნილი პროდუქციის რეალიზაციისგან შემოსული თანხები გადაირიცხება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში".

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აპრილის 10. № 615.
თბილისი

50. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს მოწყობის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 13 მარტის ბრძანებულებისა „სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო, რომლის გამგებლობაშიაც გადაცემულ იქნას აგურ-კრამიტის ქარხნები, კირის ქარხნები და შემკვრელ მასალათა დანარჩენი საწარმოები, არამადნეული წიაღისეულის საწარმოები და საშენ მასალათა სხვა საწარმოები თანახმად დანართისა.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საკონტროლო-საგამომცდელო ლაბორატორია გადაეცეს საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს.

3. საშენ მასალათა საწარმოების გადაცემა საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოსათვის მოხდეს თანახმად ამ დადგენილების პირველი მუხლისა მთელი ასიგნობებით და ამ საწარმოთა 1939 წლის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მოწყობილობის ფონდებით.

4. ეთხოვოს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატს ნება დართოს, რომ საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს გადაეცეს რიონაზოტქიმმშენის გამგებლობაში მყოფი აგურის ქარხანა.

5. დაევალოს საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაოს და საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს 1939 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა.

6. დაევალოს საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსს და საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ რესპუბლიკურ საშტატო კომისიას სამი დღის ვადაში განიხილოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს სტრუქტურა და შტატები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აპრილის 10. № 621.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

სამშენებლო მასალების იმ საწარმოებისა, რომლებიც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს გამგებლობაში უნდა იქნან გადაცემული.

1. აგურის და კრამიტის ქარხნები.

1. ღრმაღელის აგურის ქარხანა . .	საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი
2. ნოსირის აგურისა და კრამიტის ქარხანა	„ „ „
3. ტევრის აგურის ქარხანა . .	„ „ „
4. შროშის ცეცხლგამძლე აგურის ქარხანა	„ „ „
5. ხაშურის აგურის ქარხანა . . .	ხაშურის რაიაღმ. ადგ. მრეწვ. განყ.
6. ზუგდიდის აგურის ქარხანა . .	ზუგდიდის რაიაღმ. ადგ. მრეწვ. განყ.
7. ლანჩხუთის „ „ . .	ლანჩხუთის რაიაღმ. ადგ. მრეწვ. განყ.
8. სამტრედიის „ „ . .	სამტრედიის „ „ „
9. გურჯაანის „ „ . .	გურჯაანის „ „ „
10. მახარაძის „ „ .	მახარაძის „ „ „

2. კირის ქარხნები და შემკვრელ მასალათა სხვა საწარმოები.

1. მოწამეთის კირის ქარხანა . . .	საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი
2. სურამის კირის ქარხანა . . .	„ „ „ „
3. ძეგვის კირის ქარხანა	თბილისის საბჭოს ადგ. მრეწვ. განყ.
4. სამტრედიის კირის ქარხანა . . .	სამტრედიის რაიაღმას. ადგ. მრეწვ. განყ.
5. ქუთაისის კირის ქარხანა	ქუთაისის საქ. საბჭ. მრეწვ. განყ.
6. ცხაკაიას კირის ქარხანა	ცხაკაიას რაიაღმასკ. „ „
7. ცაიშის ცარცის ქარხანა	საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი
8. ხულონის ალებასტრი	„ „ „
9. კერამიკული საწარმოები . . .	„ „ „

3. არამადნეული წიაღისეულის საწარმოები.

1. კახეთის სახურავი ფიქალი . . .	საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი
2. კურსების გრანიტი	„ „ „
3. ეკლარ-ქვახჭირის ქვის დამუშავება	„ „ „
4. მარმარილოს კარიერები (ბანოჯა, სალიეთი, საქარია, ახალი შროშა, ბორჯომი)	„ „ „

4. საშენ მასალათა სხვა საწარმოები.

1. თბილისის ბეტონიტის ქარხანა .	საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი
2. საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის მშენებლობა . .	„ „ „
3. 9 ახალი კრამიტის ქარხნის მშენებლობა	„ „ „

ეროვნული ბიბლიოთეკა
39 218

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტი“-ს პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 28

მთავლ. რწმ. № კ—491 შეკვ. № 702 ტირაჟი 2000